



2023 წ.

# 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მიმოხილვა (იანვარ-სექტემბერი)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge)



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, ქობულაძის ქ., 2023 წ.



## 2023 წლის იანვარ-სექტემბერში:


- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა **16,451.9 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 75.1%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 105.6%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ძირითადი წილი, 75.2%-ის ოდენობით, მოდის **საგადასახადო შემოსავლებზე**, რომელიც, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად შემოსულობებში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა **15,769.1 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 72.1%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 98.5%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი წილი, 76.7%-ის ოდენობით, მოდის **ხარჯებზე**, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021 წელთან შედარებით და მცირედით შემცირებულია 2022 წელთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დაგროვებამ **682.8 მლნ ლარი** შეადგინა და 2023 წლის 1 ოქტომბრისთვის - **1,930.3 მლნ ლარის** ოდენობით განისაზღვრა.

# სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით<sup>1</sup> შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 21,914.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების წლიური გეგმა - 21,880.1 მლნ ლარის ოდენობით. 2023 წლის იანვარ-სექტემბერში შემოსულობების შესრულება შეადგენს 16,451.9 მლნ ლარს (წლიური გეგმის 75.1%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2,450.4 მლნ ლარით (17.5%-ით) აღემატება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 15,769.1 მლნ ლარს (წლიური გეგმის 72.1%) და 2,105.0 მლნ ლარით (15.4%-ით) მეტია წინა წლის იანვარ-სექტემბრის მაჩვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და 9 თვის შესრულების მაჩვენებლები.

2014-2023 წწ. შემოსულობებისა და გადასახდელების 9 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 9 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2014-2023 წლებში (მლრდ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 9 თვის გეგმა განსაზღვრულია<sup>2</sup> 15,574.6 მლნ ლარით, ხოლო 9 თვის შესრულება მის 105.6%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 9 თვის გეგმის მიმართ გადაჭარბებით არის შესრულებული შემოსავლების (103.5%), ფინანსური აქტივების კლებისა (105.7%) და ვალდებულებების ზრდის (121.1%) კომპონენტები, ხოლო არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი გამოირჩევა დაბალი შესრულების დონით (84.2%).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 9 თვის გეგმა განსაზღვრულია 16,016.5 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 9 თვის შესრულება 9 თვის გეგმის 98.5%-ს შეადგენს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 9 თვის გეგმის 97.7%-ს უტოლდება. არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები მაღალი შესრულებით გამოირჩევა (შესაბამისად, 102.7%, 107.6%), ხოლო ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელების შესრულება 94.4%-ს შეადგენს.

<sup>1</sup> საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წლის 15 დეკემბერს მიღებული საქართველოს კანონი „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.


<sup>2</sup> „საქართველოს 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 29 დეკემბრის №437 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 31 აგვისტოს №320 ბრძანება.

დასახელება	2023 წლის გეგმა	9 თვის გეგმა	9 თვის შესრულება	9 თვე/9 თვის გეგმა	დასახელება	2023 წლის გეგმა	9 თვის გეგმა	9 თვის შესრულება	9 თვე/9 თვის გეგმა
შემოსულობები	21,914.2	15,574.6	16,451.9	105.6%	გადასახდელები	21,880.1	16,016.5	15,769.1	98.5%
შემოსავლები	17,619.9	13,266.1	13,732.5	103.5%	ხარჯები	16,335.2	12,384.1	12,100.9	97.7%
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	122.0	102.7	84.2%	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,881.3	2,572.6	2,641.8	102.7%
ფინანსური აქტივების კლება	450.0	207.5	219.4	105.7%	ფინანსური აქტივების ზრდა	445.1	194.5	209.2	107.6%
ვალდებულებების ზრდა	3,644.3	1,979.0	2,397.4	121.1%	ვალდებულებების კლება	1,218.5	865.3	817.2	94.4%

ცხრილი 1: 2023 წლის 9 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ<sup>3</sup> 9 თვეში შეადგინა 1,631.6 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ<sup>4</sup> - 907.6 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 9 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

2014-2023 წლების 9 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო



დიაგრამა 2: 2014-2023 წლების 9 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.5 მლნ ლარი. იანვარ-სექტემბერში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 682.8 მლნ ლარი შეადგინა და 2023 წლის 1 ოქტომბრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 1,930.3 მლნ ლარის ოდენობით.


<sup>3</sup> საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.

<sup>4</sup> მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საქმეების თვის მარკენაბლები

2023 წლის სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 1,812.8 მლნ ლარი, რაც აგვისტოს მარკენაბლებზე - 28.4 მლნ ლარით, ხოლო წინა წლის სექტემბრის მარკენაბლებზე 168.2 მლნ ლარით ნაკლებია. რაც შეეხება 2023 წლის სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 1,953.4 მლნ ლარს, რაც აგვისტოს მარკენაბლებზე 212.6 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2022 წლის სექტემბრის მარკენაბლებთან შედარებით გაზრდილია 115.8 მლნ ლარით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით.




დიაგრამა 3: სახელმწიფო ბიუჯეტო შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)


რაც შეეხება სახელმწიფო შემოსულობებისა და გადასახდელების კომპონენტების მიხედვით:

შემოსულობების ძირითადად შემოსავლებისა და ვალდებულებების აღების მიღებული სახსრების (11.5%) ხარჯზე. ფინანსური აქტივების მარკენაბლებმა შეადგინა 8.2 მლნ ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 30.3 მლნ ლარი.

2023 წლის სექტემბერში ხარჯების მარკენაბლებმა 1,330.8 მლნ ლარი შეადგინა, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები, შესაბამისად - 460.2 მლნ ლარს და 47.5 მლნ ლარს, ხოლო ვალდებულებების კლების მარკენაბლები 114.8 მლნ ლარს გაუტოლდა.




დიაგრამა 4: შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)




დიაგრამა 5: გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მიმოხილვა, რაზეც სექტემბერში მიღებული შემოსავლების 93.5%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 80.7% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 1,463.7



მლნ ლარი, აგვისტოს მაჩვენებელზე (1,389.9 მლნ ლარი) 73.9 მლნ ლარით მეტი. წინა თვესთან შედარებით ზრდა დაკავშირებულია ძირითადად სხვა გადასახადისა და მოგების გადასახადის მატებასთან (შესაბამისად, 89.8 მლნ ლარით და 87.8 მლნ ლარით), მცირედით (1.8 მლნ ლარით) გაზრდილია, აგრეთვე, იმპორტის გადასახადიც. ყველა დანარჩენი გადასახადი შემცირებულია: დღგ - 65.9 მლნ ლარით, საშემოსავლო გადასახადი - 25.2 მლნ ლარით, აქციზი - 14.4 მლნ ლარით (იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 15.6 მლნ ლარით კლების გავლენით).

დიაგრამა 6: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი სახეების მიხედვით (მლნ ლარი)



რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი სექტემბერში გაწეული მთლიანი გადასახდელების 68.1%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა სექტემბერში შეადგინა 1,330.8 მლნ ლარი, წინა თვის მაჩვენებელზე (1,141.9 მლნ ლარი) 188.9 მლნ ლარით (16.5%-ით) მეტი. აგვისტოს მაჩვენებელთან შედარებით, ყველა სახის ხარჯი, პროცენტისა და გრანტის გარდა (რომელთა მაჩვენებლები შემცირებულია, შესაბამისად, 10.4 მლნ ლარით და 14.2 მლნ ლარით), გაზრდილია: სოციალური უზრუნველყოფა - 122.5 მლნ ლარით, სხვა ხარჯები - 72.6 მლნ ლარით, საქონელი და მომსახურება - 11.3 მლნ ლარით, შრომის ანაზღაურება - 4.6 მლნ ლარით და სუბსიდიები - 2.5 მლნ ლარით.

დიაგრამა 7: გაწეული ხარჯები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)


რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2023 წლის სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა 235.2 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - (-194.8) მლნ ლარი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სექტემბერში მიღებული შემოსულობებისა (1,812.8 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (1,953.4 მლნ ლარი) გათვალისწინებით, სექტემბრის თვეში ნაშთის გამოყენებამ შეადგინა 140.6 მლნ ლარი.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2023 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელი 16,451.9 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 83.5%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 2021-2022 წლებთან შედარებით გაზრდილია, ძირითადად საგადასახადო შემოსავლების მატების გავლენით. რაც შეეხება მის წილს შემოსულობებში, ეს მაჩვენებელიც წინა წლებთან შედარებით გაზრდილია. კერძოდ, 2022 წელს შემოსავლების წილი შემოსულობებში შეადგენდა 82.1%-ს, ხოლო 2021 წელს - 69.8%-ს. ვალდებულებების ზრდის მუხლის მაჩვენებელი წილობრივად მთლიან შემოსულობებში, წინა წლებთან შედარებით, შემცირებულია: 2023 წლის 9 თვეში ვალდებულებების ზრდით შემოსულობების მაჩვენებელი მთლიანი შემოსულობების 14.6%-ს შეადგენს, ხოლო 2022 წელს 16.1% და 2021 წელს 28.3%-ს შეადგენდა. მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (წინა წლების მსგავსად), მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლებით შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 2.0%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი, როგორც 2022 წელს, ასევე, 2021 წელსაც 1.9%-ს შეადგენდა.

2021-2023 წწ. 9 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით




დიაგრამა 8: 2021-2023 წწ. 9 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

**შემოსავლების** სახით იანვარ-სექტემბერში მიღებულია 13,732.5 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 103.5% და წლიური გეგმის 77.9%, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 2,239.2 მლნ ლარით (19.5%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, 9 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულების დონით ხასიათდება გადასახადები, ხოლო გრანტებისა და სხვა შემოსავლების მაჩვენებლები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა.

9 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 12,364.4 მლნ ლარს, 9 თვის გეგმის 101.6%-ს და წლიური გეგმის 75.9%-ს შეადგენს. 9 თვის გეგმის მიმართ ყველა გადასახადი, გარდა სხვა გადასახადისა (რომლის სახით 9 თვეში დაგეგმილია 155.0 მლნ ლარი, ფაქტობრივმა მაჩვენებელმა კი -103.6 მლნ ლარი შეადგინა<sup>5</sup>), გადაჭარბებით ხასიათდება და 100.5%-125.4%-ის ფარგლებში მერყეობს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 2,076.2 მლნ ლარით (20.2%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება განპირობებულია ძირითადად საშემოსავლო გადასახადისა და დღგ-ის მნიშვნელოვანი ზრდით (შესაბამისად, 21.3%-ით და 14.0%-ით).

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 598.1 მლნ ლარით (19.9%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, 9 თვეში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 4,984.4 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 612.3 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 570.8 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 41.5 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 14.4%-ით (201.3 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 195.9 მლნ ლარით ზრდის გავლენით (მ.შ. იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან მიღებულია 101.9 მლნ ლარით (18.0%-ით) მეტი შემოსავალი).

<sup>5</sup> 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.



დიაგრამა 9: 2022-2023 წწ. 9 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

**გრანტების** ფაქტობრივი მაჩვენებელი (240.7 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა და 9 თვის გეგმის 153.9%-ს და წლიური გეგმის 86.1%-ს შეადგენს, რაც ძირითადად დაკავშირებულია ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავლის 36.7%-იანი გადაჭარბებით (95.7 მლნ ლარის ოდენობით) მიღებასთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 9 თვეში მიღებულია 62.3 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე), აგრეთვე, ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტებთან (9 თვის გეგმის 104.6%). გარდა ამისა, ბიუჯეტში მიღებულია საინვესტიციო გრანტები 22.7 მლნ ლარის ოდენობით (9 თვის გეგმის 78.2%).

**სხვა შემოსავლების** სახით 9 თვეში ბიუჯეტში მობილიზებულია 1,127.4 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 119.4% (წლიური გეგმის 107.4%), რაც დაკავშირებულია საკუთრებიდან შემოსავლების 23.6%-იანი გადაჭარბებით მიღებასთან (აღნიშნულზე გავლენა მოახდინა დივიდენდის სახით, კერძოდ, ეროვნული ბანკის მოგებიდან ბიუჯეტში 112.8 მლნ ლარის გადაჭარბებით, 462.8 მლნ ლარის ოდენობით თანხის ჩარიცხვამ). გარდა ამისა, ასევე, მნიშვნელოვანი შემოსავლებია მიღებული (205.5 მლნ ლარის ოდენობით) არაკლასიფიცირებული ტრანსფერების სახით (9 თვის გეგმის 108.7%).

**არაფინანსური აქტივების კლების** მუხლით შემოსულობები (102.7 მლნ ლარი) შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება და 9 თვის გეგმის 84.2%-ს (წლიური გეგმის 51.3%) შეადგენს.

**ფინანსური აქტივების კლების** მუხლით მიღებულია 219.4 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 105.7% (წლიური გეგმის 48.7%), რაც ძირითადად მოდის გაცემული სესხების დაბრუნებიდან მიღებულ სახსრებზე. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით იგი გაზრდილია 114.8 მლნ ლარით (2-ჯერ).

**ვალდებულებების ზრდის** მუხლით შემოსულობებმა 9 თვეში 2,397.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 9 თვის გეგმის 121.1%-ია. საგარეო დაფინანსების წყაროდან თანხები ძირითადად შემოსულია საინვესტიციო კრედიტების სახით, 1,192.9 მლნ ლარის ოდენობით (9 თვის გეგმის 113.2%), ხოლო საბიუჯეტო კრედიტების სახით მიღებულია 212.6 მლნ ლარი (თუმცა 9 თვის გეგმით მისი მიღება გათვალისწინებული არ არის).

	9 თვის შესრულება	შესრულება 9 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>2,397.4</b>	<b>121.1%</b>	<b>65.8%</b>
<b>საგარეო საბიუჯეტო კრედიტები</b>	<b>1,405.5</b>	<b>133.4%</b>	<b>62.6%</b>
საბიუჯეტო კრედიტები	212.6		53.2%
საინვესტიციო კრედიტები	1,192.9	113.2%	64.7%
<b>საშინაო</b>	<b>991.9</b>	<b>107.2%</b>	<b>70.8%</b>


ცხრილი 2 : 2023 წლის 9 თვეში ვალდებულებების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობა (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 991.9 მლნ ლარი შეადგინა (9 თვის გეგმის 107.2%).

# სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2023 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 15,769.1 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 76.7%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021 წელთან შედარებით და მცირედით შემცირებულია 2022 წელთან შედარებით. კერძოდ, 2021 წლის 9 თვეში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 69.0%-ს, ხოლო 2022 წლის 9 თვეში - 77.7%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2023 წლის იანვარ-სექტემბერში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 16.8% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 1.3% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 5.2%. 2022 წლის იანვარ-სექტემბერში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 15.5%-ის, 1.1%-ის და 5.6%-ის ოდენობებით, ხოლო, 2021 წლის 9 თვეში - 12.1%-ის, 1.6%-ის და 17.3%-ის ოდენობებით.


2021-2023 წწ. 9 თვის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 10: გადასახდელების კომპონენტების შესრულებები 2021-2023 წლების იანვარ-სექტემბერში (მლნ ლარი)

**ხარჯების** შესრულებამ იანვარ-სექტემბერში შეადგინა 12,100.9 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 97.7% და წლიური გეგმის 74.1%, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 1,477.4 მლნ ლარით (13.9%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან (გარდა სხვა ხარჯებისა, რომელიც შემცირებულია 223.4 მლნ ლარით). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის სოციალური უზრუნველყოფის (578.2 მლნ ლარი) და პროცენტის (336.7 მლნ ლარი) მუხლებზე. 9 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა სოციალური უზრუნველყოფის (102.3%), პროცენტის (98.0%), სუბსიდიების (97.3%), სხვა ხარჯების (96.1%) და საქონელი და მომსახურების (95.6%) მუხლები. 9 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება შრომის ანაზღაურების (93.4%) და გრანტების (87.9%) მუხლები.

პროცენტის მუხლის შესრულებიდან (904.7 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 542.3 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 362.4 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (5,075.0 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (3,681.3 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (1,026.1 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (259.5 მლნ ლარი).



დიაგრამა 11: 2022-2023 წწ. 9 თვის ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

**არაფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულება (2,641.8 მლნ ლარი) 9 თვის გეგმის 102.7%-ს და წლიური გეგმის 68.1%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (1,322.2 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (319.0 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (168.5 მლნ ლარი), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (126.2 მლნ ლარი), იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (121.4 მლნ ლარი) და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (83.8 მლნ ლარი).

**ფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (209.2 მლნ ლარი), 9 თვის გეგმის 107.6%-ს და წლიური გეგმის 47.0%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელები მოდის:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამებზე:
  - ✓ „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 14) - 62.8 მლნ ლარის ოდენობით;
  - ✓ “საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება” (პროგრამული კოდი 24 08) – 1.1 მლნ ლარის ოდენობით;
  - ✓ „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ (პროგრამული კოდი 24 19) - 3.4 მლნ ლარის ოდენობით.
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე:
  - ✓ „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 25 04) - 124.7 მლნ ლარის ოდენობით;
  - ✓ „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი 25 05) - 9.4 მლნ ლარის ოდენობით.
- დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 7.7 მლნ ლარის ოდენობით.

**ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება** (817.2 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით ხასიათდება და 9 თვის გეგმის 94.4%-ს შეადგენს, ხოლო, წლიურ გეგმასთან მიმართებით - 67.1%-ს. აღნიშნული მაჩვენებლის დიდი წილი, 782.5 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	9 თვის შესრულება	შესრულება 9 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>817.2</b>	<b>94.4%</b>	<b>67.1%</b>
საგარეო	782.5	94.2%	66.6%
საშინაო	34.6	99.2%	80.7%

ცხრილი 3: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2023 წლის 9 თვეში (მლნ ლარი, %)


აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, გადასახდელების იანვარ-სექტემბრის შესრულება მოიცავს **დამატებით 8 პროგრამულ კოდს**, რომლის ფარგლებშიც მოხდა ასიგნებების ათვისება, ესენია:

- „არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 31 05 23) – 2.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 24 14 03) – 1.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის (KfW)“ (პროგრამული კოდი - 27 06 06) – 1.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში (აჭარის სატყეო სააგენტოს კომპონენტი) (KfW)“ (პროგრამული კოდი - 55 13 13) – 0.9 მლნ ლარის ოდენობით;
- „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ (პროგრამული კოდი - 26 10) – 0.8 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 56 00) – 0.7 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 63 00) – 0.5 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 58 00) – 0.1 მლნ ლარის ოდენობით;

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულებას, იანვარ-სექტემბერში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 1,714.1 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 96.3% და წლიური გეგმის 71.1%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 621.8 მლნ ლარი, საიდანაც 252.7 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 353.7 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 15.4 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარ-სექტემბერში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 259.5 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 262.4 მლნ ლარის, 31.8 მლნ ლარის და 7.4 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის<sup>6</sup> მიხედვით შეადგინა 14,742.7 მლნ ლარი (9 თვის გეგმის 98.6% და წლიური გეგმის 72.9%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

2023 წლის 9 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია



დიაგრამა 12: 2023 წლის 9 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).

## გამოყენებული მონაცემების წყარო:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია საქართველოს 2014-2023 წლების იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია 2022-2023 წლების იანვარ-სექტემბერში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

<sup>6</sup> საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

# დანართები

## დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 9 თვის შესრულება	2022 წლის 9 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 9 თვის გეგმა*	2023 წლის 9 თვის შესრულება	2023 წლის 9 თვის შესრულება / 2023 წლის 9 თვის გეგმა		2023 წლის 9 თვის შესრულება / 2022 წლის 9 თვის შესრულება		2023 წლის 9 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
<b>შემოსულობები</b>	<b>12,891.4</b>	<b>14,001.5</b>	<b>21,914.2</b>	<b>15,574.6</b>	<b>16,451.9</b>	<b>877.3</b>	<b>105.6%</b>	<b>2,450.4</b>	<b>17.5%</b>	<b>75.1%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>8,996.2</b>	<b>11,493.2</b>	<b>17,619.9</b>	<b>13,266.1</b>	<b>13,732.5</b>	<b>466.3</b>	<b>103.5%</b>	<b>2,239.2</b>	<b>19.5%</b>	<b>77.9%</b>
გადასახადები	8,086.1	10,288.2	16,290.4	12,165.6	12,364.4	198.8	101.6%	2,076.2	20.2%	75.9%
საშემოსავლო გადასახადი	2,517.5	3,446.1	5,140.0	3,945.6	4,178.5	232.8	105.9%	732.4	21.3%	81.3%
მოგების გადასახადი	790.9	1,560.7	2,000.0	1,580.0	1,588.2	8.2	100.5%	27.4	1.8%	79.4%
დღგ	3,513.7	4,372.1	6,670.4	4,883.0	4,984.4	101.4	102.1%	612.3	14.0%	74.7%
აქციზი	1,277.6	1,401.5	2,100.0	1,511.0	1,602.8	91.8	106.1%	201.3	14.4%	76.3%
იმპორტის გადასახადი	60.8	87.0	130.0	91.0	114.1	23.1	125.4%	27.1	31.2%	87.8%
სხვა გადასახადები	-74.4	-579.2	250.0	155.0	-103.6	-258.6	-66.8%	475.6	-82.1%	-41.4%
გრანტები	312.9	290.0	279.6	156.3	240.7	84.3	153.9%	-49.4	-17.0%	86.1%
სხვა შემოსავლები	597.2	915.0	1,050.0	944.2	1,127.4	183.2	119.4%	212.4	23.2%	107.4%
არაფინანსური აქტივების კლება	<b>161.8</b>	<b>155.7</b>	<b>200.0</b>	<b>122.0</b>	<b>102.7</b>	<b>-19.3</b>	<b>84.2%</b>	<b>-53.0</b>	<b>-34.0%</b>	<b>51.3%</b>
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ბამოკლებით)	<b>81.6</b>	<b>104.6</b>	<b>450.0</b>	<b>207.5</b>	<b>219.4</b>	<b>11.9</b>	<b>105.7%</b>	<b>114.8</b>	<b>109.8%</b>	<b>48.7%</b>
ვალდებულებების ზრდა	<b>3,651.8</b>	<b>2,248.1</b>	<b>3,644.3</b>	<b>1,979.0</b>	<b>2,397.4</b>	<b>418.4</b>	<b>121.1%</b>	<b>149.4</b>	<b>6.6%</b>	<b>65.8%</b>
საგარეო	4,296.8	1,340.8	2,244.3	1,054.0	1,405.5	351.5	133.4%	64.8	4.8%	62.6%
საშინაო	-645.0	907.3	1,400.0	925.0	991.9	66.9	107.2%	84.6	9.3%	70.8%
<b>გადასახდელები</b>	<b>14,459.1</b>	<b>13,664.1</b>	<b>21,880.1</b>	<b>16,016.5</b>	<b>15,769.1</b>	<b>-247.4</b>	<b>98.5%</b>	<b>2,105.0</b>	<b>15.4%</b>	<b>72.1%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>9,975.4</b>	<b>10,623.5</b>	<b>16,335.2</b>	<b>12,384.1</b>	<b>12,100.9</b>	<b>-283.2</b>	<b>97.7%</b>	<b>1,477.4</b>	<b>13.9%</b>	<b>74.1%</b>
შრომის ანაზღაურება	1,200.5	1,302.5	2,236.7	1,671.2	1,561.0	-110.2	93.4%	258.5	19.8%	69.8%
საქონელი და მომსახურება	1,214.4	1,322.4	2,025.5	1,567.5	1,497.9	-69.6	95.6%	175.5	13.3%	74.0%
პროცენტი	598.4	568.0	1,201.0	923.2	904.7	-18.5	98.0%	336.7	59.3%	75.3%
სუბსიდიები	559.9	503.2	927.6	679.0	660.7	-18.3	97.3%	157.5	31.3%	71.2%
გრანტები	531.2	641.8	1,275.8	951.2	836.0	-115.2	87.9%	194.3	30.3%	65.5%
სოციალური უზრუნველყოფა	4,423.2	4,496.7	6,447.9	4,962.6	5,075.0	112.4	102.3%	578.2	12.9%	78.7%
სხვა ხარჯები	1,447.8	1,788.9	2,220.7	1,629.4	1,565.6	-63.9	96.1%	-223.4	-12.5%	70.5%
არაფინანსური აქტივების ზრდა	<b>1,747.7</b>	<b>2,117.3</b>	<b>3,881.3</b>	<b>2,572.6</b>	<b>2,641.8</b>	<b>69.3</b>	<b>102.7%</b>	<b>524.6</b>	<b>24.8%</b>	<b>68.1%</b>
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის ბამოკლებით)	<b>235.8</b>	<b>154.7</b>	<b>445.1</b>	<b>194.5</b>	<b>209.2</b>	<b>14.7</b>	<b>107.6%</b>	<b>54.5</b>	<b>35.2%</b>	<b>47.0%</b>
ვალდებულებების კლება	<b>2,500.1</b>	<b>768.7</b>	<b>1,218.5</b>	<b>865.3</b>	<b>817.2</b>	<b>-48.2</b>	<b>94.4%</b>	<b>48.5</b>	<b>6.3%</b>	<b>67.1%</b>
საგარეო	2,446.4	733.8	1,175.6	830.4	782.5	-47.9	94.2%	48.7	6.6%	66.6%
საშინაო	53.7	34.9	42.9	34.9	34.6	-0.3	99.2%	-0.2	-0.6%	80.7%
<b>ნაშთის ცვლილება (+ დაბროვება / - ბამოყენება)</b>	<b>-1,567.6</b>	<b>337.5</b>	<b>34.1</b>	<b>-441.9</b>	<b>682.8</b>	<b>1,124.7</b>		<b>345.4</b>		

\* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №320)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 9 თვის შესრულება	2022 წლის 9 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 9 თვის გეგმა	2023 წლის 9 თვის შესრულება	2023 წლის 9 თვის შესრულება / 2023 წლის 9 თვის გეგმა		2023 წლის 9 თვის შესრულება / 2022 წლის 9 თვის შესრულება		2023 წლის 9 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
<b>შემოსავლები</b>	<b>8,996.2</b>	<b>11,493.2</b>	<b>17,619.9</b>	<b>13,266.1</b>	<b>13,732.5</b>	<b>466.3</b>	<b>103.5%</b>	<b>2,239.2</b>	<b>19.5%</b>	<b>77.9%</b>
გადასახადები	8,086.1	10,288.2	16,290.4	12,165.6	12,364.4	198.8	101.6%	2,076.2	20.2%	75.9%
გრანტები	312.9	290.0	279.6	156.3	240.7	84.3	153.9%	-49.4	-17.0%	86.1%
სხვა შემოსავლები	597.2	915.0	1,050.0	944.2	1,127.4	183.2	119.4%	212.4	23.2%	107.4%
<b>ხარჯები</b>	<b>9,975.4</b>	<b>10,623.5</b>	<b>16,335.2</b>	<b>12,384.1</b>	<b>12,100.9</b>	<b>-283.2</b>	<b>97.7%</b>	<b>1,477.4</b>	<b>13.9%</b>	<b>74.1%</b>
შრომის ანაზღაურება	1,200.5	1,302.5	2,236.7	1,671.2	1,561.0	-110.2	93.4%	258.5	19.8%	69.8%
საქონელი და მომსახურება	1,214.4	1,322.4	2,025.5	1,567.5	1,497.9	-69.6	95.6%	175.5	13.3%	74.0%
პროცენტი	598.4	568.0	1,201.0	923.2	904.7	-18.5	98.0%	336.7	59.3%	75.3%
სუბსიდიები	559.9	503.2	927.6	679.0	660.7	-18.3	97.3%	157.5	31.3%	71.2%
გრანტები	531.2	641.8	1,275.8	951.2	836.0	-115.2	87.9%	194.3	30.3%	65.5%
სოციალური უზრუნველყოფა	4,423.2	4,496.7	6,447.9	4,962.6	5,075.0	112.4	102.3%	578.2	12.9%	78.7%
სხვა ხარჯები	1,447.8	1,788.9	2,220.7	1,629.4	1,565.6	-63.9	96.1%	-223.4	-12.5%	70.5%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>-979.2</b>	<b>869.8</b>	<b>1,284.7</b>	<b>882.0</b>	<b>1,631.6</b>	<b>749.6</b>	<b>185.0%</b>	<b>761.8</b>	<b>87.6%</b>	<b>127.0%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>1,585.9</b>	<b>1,961.6</b>	<b>3,681.3</b>	<b>2,450.6</b>	<b>2,539.2</b>	<b>88.6</b>	<b>103.6%</b>	<b>577.6</b>	<b>29.4%</b>	<b>69.0%</b>
ზრდა	1,747.7	2,117.3	3,881.3	2,572.6	2,641.8	69.3	102.7%	524.6	24.8%	68.1%
კლება	161.8	155.7	200.0	122.0	102.7	-19.3	84.2%	-53.0	-34.0%	51.3%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-2,565.1</b>	<b>-1,091.8</b>	<b>-2,396.6</b>	<b>-1,568.6</b>	<b>-907.6</b>	<b>661.0</b>	<b>57.9%</b>	<b>184.2</b>	<b>-16.9%</b>	<b>37.9%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-1,413.4</b>	<b>387.6</b>	<b>29.2</b>	<b>-454.9</b>	<b>672.7</b>	<b>1,127.5</b>	<b>-147.9%</b>	<b>285.1</b>	<b>73.6%</b>	<b>2303.4%</b>
ზრდა	235.8	492.1	479.2	194.5	892.0	697.5	458.7%	399.9	81.3%	186.1%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	337.5	34.1	0.0	682.8	682.8		345.4	102.3%	2002.3%
სესხები	235.8	154.7	445.1	194.5	208.1	13.6	107.0%	53.4	34.5%	46.7%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	1.1	1.1		1.1		
<b>კლება</b>	<b>1,649.2</b>	<b>104.6</b>	<b>450.0</b>	<b>649.4</b>	<b>219.4</b>	<b>-430.0</b>	<b>33.8%</b>	<b>114.8</b>	<b>109.8%</b>	<b>48.7%</b>
ვალუტა და დეპოზიტები	1,567.6	0.0	0.0	441.9	0.0	-441.9	0.0%	0.0		
სესხები	79.3	103.6	450.0	207.5	217.8	10.3	105.0%	114.2	110.2%	48.4%
აქციები და სხვა კაპიტალი	2.3	1.0	0.0	0.0	1.6	1.6		0.6	60.6%	
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>1,151.7</b>	<b>1,479.4</b>	<b>2,425.8</b>	<b>1,113.7</b>	<b>1,580.2</b>	<b>466.6</b>	<b>141.9%</b>	<b>100.8</b>	<b>6.8%</b>	<b>65.1%</b>
ზრდა	3,651.8	2,248.1	3,644.3	1,979.0	2,397.4	418.4	121.1%	149.4	6.6%	65.8%
საშინაო	-645.0	907.3	1,400.0	925.0	991.9	66.9	107.2%	84.6	9.3%	70.8%
საგარეო	4,296.8	1,340.8	2,244.3	1,054.0	1,405.5	351.5	133.4%	64.8	4.8%	62.6%
<b>კლება</b>	<b>2,500.1</b>	<b>768.7</b>	<b>1,218.5</b>	<b>865.3</b>	<b>817.2</b>	<b>-48.2</b>	<b>94.4%</b>	<b>48.5</b>	<b>6.3%</b>	<b>67.1%</b>
საშინაო	53.7	34.9	42.9	34.9	34.6	-0.3	99.2%	-0.2	-0.6%	80.7%
საგარეო	2,446.4	733.8	1,175.6	830.4	782.5	-47.9	94.2%	48.7	6.6%	66.6%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>		<b>0.0</b>		

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 9 თვის გეგმა	2023 წლის 9 თვის შესრულება	2023 წლის 9 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 9 თვის შესრულება 9 თვის გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	21,880.1	16,016.5	15,769.1	72.1%	98.5%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	77.5	58.7	55.1	71.2%	93.8%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	63.7	48.4	46.3	72.7%	95.7%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდებლო საქმიანობა	23.5	17.6	14.3	60.9%	81.1%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	7.9	5.9	5.7	73.1%	97.5%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	32.4	24.9	26.3	81.2%	105.6%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	32.4	24.9	26.3	81.3%	105.7%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.04	0.02	36.1%	48.2%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.0	9.0	7.5	62.7%	83.5%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.6	0.4	0.4	67.3%	89.1%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.1	0.9	0.8	75.1%	98.7%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9.3	7.2	6.2	66.2%	85.8%
03 00	საქართველოს ბიზნესობიექტების აპარატი	0.8	0.6	0.5	68.2%	90.9%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	24.0	17.3	30.7	127.9%	177.0%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	21.3	17.1	13.5	63.6%	79.4%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	56.0	47.8	51.7	92.4%	108.1%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	21.6	16.8	14.0	65.0%	83.6%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.6	1.5	1.4	88.4%	97.6%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	9.6	9.6	75.0%	100.0%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	20.0	20.0	26.7	133.3%	133.3%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	5.8	4.5	3.7	64.0%	83.3%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	16.1	12.2	10.7	66.2%	87.4%
09 00	საერთო სასამართლოები	117.0	82.7	70.1	59.9%	84.9%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	114.5	80.8	68.9	60.2%	85.3%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	2.5	1.9	1.3	49.5%	66.0%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	7.9	5.9	3.7	46.8%	62.8%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.3	1.0	0.9	67.7%	89.0%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	0.7	62.3%	81.7%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.3	1.0	1.0	76.0%	98.2%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	0.8	69.0%	89.6%

კოდი	დასახელება	2023 წლის 9 თვის გეგმა	2023 წლის 9 თვის გეგმა	2023 წლის 9 თვის შესრულება	2023 წლის 9 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 9 თვის შესრულება 9 თვის გეგმასთან მიმართებაში %
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	0.6	61.3%	78.1%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	0.7	64.8%	82.9%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.8	0.7	69.0%	90.5%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.3	1.1	1.0	72.5%	89.2%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.8	0.7	65.4%	85.3%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	180.0	139.8	129.1	71.7%	92.4%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	147.7	111.8	101.6	68.8%	90.8%
